

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლობოთა მთავრობის

კანონია და განკარგულებათა პრეგული

სახალხო კომისართა საგაოცე და ეპონოზის საგაოცე
საკვეთა მთავრობის გამოცემა

1930 წ. გენტს 17.

№ 4

ნებისმიერი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა
საბჭოს დადგენილებანი.

46. „სამხედრო სამსახურის ინვალიდების და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ და უგზო-
შეცლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კად-
რებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიასთვის ნაწილების ცვალებად შედ-
გენილობაში ნამდინარი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე
კონტროლის სამსახურისათვის ბრძოლაში აქტუალური მონაწილეობის გამო შრომის უწარდაკარგულ პირთა
ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის თაობაზე“
გამოცემული დებულების შეცვლის შესახებ.

47. „საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საც-
ხოვრებული სადგომების ქირის“ თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმსარულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილე-
ბის დამტები შესახებ.

48. სისხლის სამართლის კოდექსის 14, 31, 39, 44, 48, 49 და 52 მუხ. შეცვლის შესახებ.

49. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 109¹ მუხ. დამტების შესახებ.

50. გაპროტესტებული თამასუებით გადაზღვენინის წესის შესახებ.

51. სისხლის სამართლის საპროტესტო კოდექსის მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

52. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სავალდებულო დასაბრუნებელი ანა-
ბარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

53. „საქართველოს სსრ-ში თევზის მრეწველობისა და თევზის მოშენების სააქციო საზოგა-
დოების („საქართველოს თევზის“) მომწყობი ბიუროსათვის იურიდიული პირის უფლებების მი-
ნიჭების შესახებ.“

54. ყრილობებისა და თათბირების მოწვევისათვის ნებართვის მიცემის შესახებ.

შეცრალური კლასერულების კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

46. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ. დ ა ს. პ. ს.

„სამხედრო სამსახურის ინვალიდების და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრრევოლუციას-თან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნ-ყოფის თაობაზე“ გამოცემული დებულების შესახებ.

კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა უზრუნველყოფისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართ-ველის სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენენ:

1. „სამხედრო სამსახურის ინვალიდების და მათი ოჯახებისა, გარდაცვა-ლებულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრრევოლუციას-თან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული დებულების სათაური (საქ. სსრ კინ. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 133 და 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 170 და 23 №-რი, მუხ. 289) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„დებულება სამხედრო სამსახურის ინვალიდების და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრრევოლუციას-თან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ“.

2. აღნიშნული დებულების 1-ლი მუხლის „ე“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემ-დეგი რედაქციით:

„ე) ის პირნი, რომელთაც დაპკარგეს შრომის უნარი კონტრრევოლუციას-თან ბრძოლაში მონაწილეობის გამო ან კულაკური ძალადობისაგან, და აგრეთვე

იმ ოჯახის შრომის უნარმოკლებული წევრი, რომლის მარჩენალიც დაიღუპა კონტრრევოლუციისა ან კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-
ჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 4.
ტფილისი—სასახლე.

47. დადგენილება ც.ა.კ. და ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ-ის ქალაქება და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის“ თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ ქალაქება და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ს დადგენილების მე-9 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-რი, მუხ. 202) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. სახელმწიფო პენსიონერებს შენარჩუნებათ ყველა ის საბინაო შეღავათი, რაც მათ უკანასკნელი სამსახურის ადგილის მიხედვით ჰქონდათ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 4.
ტფილისი—სასახლე.

48. დადგენილება ც. პ. პ. და ს. პ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 14, 31, 39, 44, 49 და 52 მუხ.
შეცვლის შეხახება.

„სსრკ-ისა და მოქავშირე ოქსუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საფუძველთა „შეცვლისა და შეცვების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილების (სსრკ კან. კრებული 1929 წ. № 67, მუხ. 627) თანაბეჭდ და სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. კან. კრებ. 1929 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხ. სამ. კოდექსის 14, 31 მუხ., 39 მუხლის მე-3 და 4 ნაწ., 44, 48, 49 და 52 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 14. უკეთუ ბრალდებული, სასამართლოს აზრით, საქმის განხილვის დროისათვის, საზოგადოებრივ-საშიშ პიროვნებად არ ჩაითვლება, სასამართლოს უფლება აქვს, განაჩენში სათანადო მოტივების აღნიშვნით, სრულიად არ შეუფარდოს მას სოციალური დაცვის ღონისძიება“.

„მუხ. 31. უფლების აყრა გულისხმობა:

ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევას;
ბ) საზოგადოებრივ ორგანიზაციაში საარჩევნო თანამდებობის დაჭერის უფლების ჩამორთმევას;

გ) ამ თუ იმ სახელმწიფოებრივი თანამდებობის უფლების ჩამორთმევას;

დ) საპატიო წოდების ტარების უფლების ჩამორთმევას;

ე) მშობლიური უფლების ჩამორთმევას.

უფლების აყრა შეიძლება ხუთ წელზე არა უშერტესი ვადით.

აყრა შეიძლება როგორც ყველა ზემოაღნიშნული უფლებისა ერთად, ისე თვითეულისა ცალ-ცალკე;

უკეთუ უფლების აყრა ერთვის თავისუფლების აღვეთას, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიება, იგი გასტანს პატიმრობის მთელ დროს და, გარდა ამისა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ ვადასაც;

მშობლიური უფლება შეიძლება ჩამორთვის მსჯავრდადებულს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ მსჯავრდადებული ბოროტად იყენებს ამ უფლებას“.

„მუხ. 39. (მე-3 და 4 ნაწ.) ქონების კონფისკაციის დროს სახელმწიფო პასუხს არ აგებს იმ ვალისა და ვალდებულებისათვის, რაც ქონებას აწევს, უკეთუ ეს ვალი და ვალდებულება წარმოიშვა მის შემდეგ, რაც საგამომძიებლო სასამართლო ორგანომ მიიღო ღონისძიება ამ ქონების დასაცავად და უკეთუ, ამას-

თანავე, იგი ჭარმოიშვა დაცვის ღონისძიების მიმღები ორგანოს ნებადაურ-თველად.

რაც შეეხება იმ პრეტენზიებს, რომღებიც დაქმაყოფილებულ უნდა იქნეს კონფისაციაქმნილი ქონებიდან, სახელმწიფო პასუხს ავებს მხოლოდ აქტივის ფარგლებში, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 და შემდეგ მუხლებში განსაზღვრული რიგით“.

„მუხ. 44. სასამართლომ სოციალური დაცვის ღონისძიების გადაწყვეტი-სათვის უპირველეს ყოვლისა უნდა გამოარყენოს, რა საზოგადოებრივ საფრთხეს წარმოადგენს დანაშაული და, ამის შემდეგ, კონკრეტული ღონისძიების ამორ-ჩევის დროს, უმძიმეს ღონისძიებას მიიღებს იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ დანაშაული ჩადენილია ბურჯუაზიის ხელისუფლების აღსაღენად;

ბ) უკეთუ დანაშაული, თუნდაც პირდაპირ საბჭოთა სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ იყოს მიმართული, მაგრამ მან, თავისი ობიექტური შედეგით, შეიძლება ვნება მიაყენოს ამ ინტერესებს;

გ) უკეთუ დანაშაული ჩადენილია ჯგუფისა ან ბანდის მიერ;

დ) უკეთუ დანაშაული ჩადენილია იმ პირის მიერ, ვისაც წინადაც ჩაუდენია რაიმე დანაშაული, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს პირი ცნობილია სამართალში არყოფილად (16 მუხ.), ან როდესაც პირველი დანაშაულის ჩადენისა ან ამ დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის დროიდან განვლონ ხანდაზმულობის გადამ (15 მუხ.); ხოლო ამავე დროს, სასამართლოს უფლება აქვს, პირველი დანაშაულის ხსიათის მიხედვით, ეს დანაშაული დამამდიმებელ გარე-მოებად არ მიიჩნიოს;

ე) უკეთუ დანაშაული ჩადენილია ანგარებით თუ სხვა ქვენა გრძნობით, ან იმ პირის მიმართ, რომელიც ემორჩილება დამნაშავეს ან მის მზრუნველობაზე იმყოფება, ან და თავისი წლოვანებისა თუ სხვა მიზეზით განსაკუთრებულად უმწერ მდგომარეობას განიცდის;

ვ) უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, ძალადობით ან მზაკერობით“.

„მუხ. 48. უკეთუ სასამართლო სკრობს, რომ საქმის გარემოებათა მიხედვით, მიზანშეწონილი იქნება იმ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები ღონისძიების შეფარდება, რაც ამა კოდექსის შესაფერ მუხლშია გათვალისწინებული ან სხვა, ისეთ ნაკლებად მძიმე ღონისძიებაზე გადასვლა, რაც ამ მუხლში გათვალისწინებული არ არის, მას შეუძლიან ასეთი შემცირება ან გადასვლა და ეს განაჩენში სათანადო უნდა დაასაბუთოს.“

„მუხ. 49. უფლება მსჯავრდადებულის განთავისუფლებისა იმ სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან, რაც მას მიესაჯა საქართველოს სსრ ცეკვა სასამართლოს, მათ შორის აფხაზეთის სსრ აქარისტანის ავტონომიურ სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების განაჩენით, სამხედრო ტრიბუნალების განაჩენების გამოკლებით, აგრეთვე კანონით დაწესებული სოციალური დაცვის ღონისძიების დაწევის უფლება ეკუთვნის სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“.

„მუხ. 52. უკეთუ პირობით მსჯავრდადებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სასამართლოს შეუძლიან პირობით გადადებული სოციალური დაცვის ღონისძიება მთლად ან ნაწილობრივ შეუერთოს ახალ საქმისათვის გადაწყვეტილ სოციალური დაცვის ღონისძიებას, ან მსჯავრდადებულს შეუფარდოს მხოლოდ მეორე განაჩენით გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიება. პირველ შემთხვევაში, უკეთუ თავისუფლების აღკვეთაა გადაწყვეტილი, მისი ვადა ორივე განაჩენით ერთად არ უნდა იღებატებოდეს ათწელიწადს, ხოლო, უკეთუ იძულებითი მუშაობაა—ერთ წელიწადს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ.

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ.

კომიტეტის მდივანის მაგ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 4.
ტფილისი-სახალლე.

49. დადგენილება ც. პ. პ. და ს. პ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 109¹ მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 109¹ მუხ. შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 109¹. ოქროს მრეწველობისა და აგრეთვე ოქროს შენახვისა და ტრიალისათვის კანონით დადგენილი წესების დარღვევა, უკეთუ იგი არ შეიცავს ამა კოდექსის 108 (1 ნაწ.), 109 და 113 მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ათას მანეთამდე, ხოლო არა უმეტეს ამა კოდექსის 113 მუხლში აღნიშნული ჯარიმისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ.

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ.

კომიტეტის მდივნის მაგ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 4.
ტფილისი-სახალლე.

50. დადგენილება ც. პ. კ. და ს. კ. ს.

გაპროტესტებული თამასუქებით გადახდევინების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენერნ:

1. ფულის გადაუხდელობის გამო გაპროტესტებული თამასუქით გადახდევინება მოხდება, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულების წესისამებრ, იმ წარწერათა (აღნიშვნათა) საფუძველზე, რითაც სანოტარო ორგანო აღნიშნავს თამასუქზე ამ თამასუქის პროტესტს (თამასუქის დებულების 12 და 27 მუხ.).

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაში (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-რი, მუხ. 57) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) გაუქმდეს 46 მუხ. 1 პუნქ. „ა“ ლიტ.;

ბ) 48 მუხ. 1 პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ მოთხოვნა მიქცეულია სახელმწიფო დაწესებულებასა, სახელმწიფო საწარმოსა ან პროტესიონალურ ორგანიზაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოთხოვნა დამყარებულია საკრედიტო დაწესებულების ისეთ დოკუმენტზე, რომლითაც დადასტურებულია ფულის გადახდის ვადის გადაცილება, ან საანგარიშმ წიგნაზე.“

გ) აღნიშნული დებულების 54 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„სანოტარო კონტორის წარწერა (აღნიშვნა) თამასუქზე პროტესტის შესახებ ფულის გადაუხდელობის გამო—ისეთი დოკუმენტია, რომლის თანახმადაც შეიძლება მოხდეს გადახდევინება სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების წესისამებრ.“

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ.
კომიტეტის მდივნის მაგ. თ. ულენტი.

51. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4¹ მუხ. რედაქციის შეცვლის
შესახებ.

„სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის წარმოების ძირითად საფუძველთა შესების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 67, მუხ. 626) თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მთავრებობის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კანონთა კრებული 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენებ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4¹ მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 4¹. სისხლის სამართლის წესით დევნა შეიძლება მოისპოს პროცესის ყოველ სტადიაში, უკეთ ჩადენილი ქმედობა, თუნდაც იგი ფორმალურად საზოგადოებრივ-საშიში ქმედობის ნიშნებს შეიცავდეს, მეტად უმნიშვნელოა და მას არავითარი მავნე შედეგი არ მოჰყოლია, ან, კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარების გამო, არა აქვს და არც შეიძლება პენიტენციური საშიში ხასიათი.

შენიშვნა 1. ბრალდებულს, რომლის საქმეც მოსპობილია ამა მუხლის ძალით, უფლება აქვს, ორი კვირის განმავლობაში დღიული მისთვის საქმის მოსპობის გამოცხადებისა, ითხოვოს თავისი საქმის განხილვა.

შენიშვნა 2. კერძო ბრალდების წესით აღძრული საქმის ამა მუხლის ძალით მოსპობა არ შეიძლება“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრ.

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრ.

კომიტეტის მდივნის მაგ. თ. ულენტი.

1930 წ. ოქტომბრის 4.

ტფილის-სასახლე.

52. დადგენილება ც. პ. კ. და ს. პ. ს.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ხავალდებულო დასაბრუნებელი ანაბარების შესახებ.

რათა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს თავისი სახსრით სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ღონისძიებათა განხორციელებაში და რათა ბრძოლა გაეწიოს სოფლის მოსახლეობის იმ შეძლებულ ფენებს, რომლებიც ერიდებიან თავიანთი სახსარის მოთავსებას აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისირთა საბჭო—თანამდე ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 5-ის დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში კომპერატიული ორგანიზაციების მიერ შესატანი საპაიო გადასახადის რაოდენობისა და 1929-30 წლის საკრედიტო გეგმის განხორციელებისათვის სახსართა მობილიზაციის შესახებ“ (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია კოსტრუკა“-ს 31/2299 №-ში 1930 წ. თებერვლის 6-ს) ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სოფლიად მოქალაქეთა საერთო კრებებს (ყრილობებს) გამოიტანონ ხოლმე დადგენილებებანი—სათანადო სოფლის ან ერთი სასოფლო საბჭოს სახით გაერთიანებული რამდენიმე სოფლის ყველა საგლეხო მეურნეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში ვალიანი დასაბრუნებელი ანაბარების სავალდებულო შეტანის შესახებ.

2. საკითხი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში დასაბრუნებელი ანაბარების სავალდებულო შეტანის დაწესების თობაზე მოქალაქეთა საერთო კრებებს (ყრილობებს) წარედგინება განსახილველად სასოფლო სასკონებისა, ამ საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთ თათბირებისა, ან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთ ამხანაგობების, ან და კოლექტიური მეურნეობების წინადადებით.

შენიშვნა. ვიდრე საკითხი სავალდებულო ანაბარების დაწესების შესახებ განსახილველად მოქალაქეთა საერთო კრებას (ყრილობას) წარედგინებოდეს, იგი დამუშავებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოების სასოფლო-სამეურნეო საწარმოთ თათბირზე.

3. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში დასაბრუნებელი ანაბარების სავალდებულო შეტანის დასაწესებლად საჭიროა, რომ მოქალაქეთა საერთო კრებას (ყრილობას) დაესწროს უწყებული სოფლის იმ მოქალაქეთა ნახევარი რიცხვი მაინც, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ. მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილება აღნიშნული საკითხის შესახებ მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით.

შენიშვნა. უკეთუ საკითხი დასაბრუნებელი ანაბარების სავალდებულო შეტანის დაწესების თობაზე სწოდება ერთი სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებული რამდენიმე სოფლის საგლეხო მეურნეობისათვის, დადგენი-

ლება გამოიტანება ამა მუხლში აღნიშნული წესისამებრ ყველა დაინტერესებული სოფლის მოქალაქეთა გაერთიანებულ საერთო კრებაზე (ყრილობაზე) ან თვითეული სოფლის მოქალაქეთა საერთო კრებაზე (ყრილობაზე) ცალკე.

4. მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ,—ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესების დაცვით,—გამოიტანილ დადგენილებას—სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში დასაბრუნებელი ანაბარების საგალდებულო შეტანის დაწესების შესახებ—დაამტკიცებს სათანადო სასოფლო საბჭო.

სასოფლო საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილება მოქალაქეთა საერთო კრებისა (ყრილობისა) აღნიშნული საკითხის თაობაზე საგალდებულოა სათანადო სოფლის ან ერთი სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებული რამდენიმე სოფლის ყველა საგლეხო მეურნეობისათვის.

5. საჩივარი სასოფლო საბჭოს მიერ დამტკიცებულ მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებაზე საგალდებულო ანაბარების შესახებ და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში შესატანი ანაბარების არასწორი განაწილების თაობაზე (მუხ. 6) შეიტანება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში სამი დღის ვადაზე სასოფლო საბჭოს მიერ სათანადო დადგენილების დამტკიცების დღიდან.

საჩივარის შეტანა დადგენილების აღსრულებას ვერ შეაჩერებს.

6. სავალდებულო ანაბარის რაოდენობას თვითეული მეურნეობისათვის განსაზღვრავს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა) პროგრესიონბის პრინციპები— მეურნეობის ძალოვნების მიხედვით. სავალდებულო ანაბარების რაოდენობა დამტკიცდება ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

იმ მეურნეობას, რომელიც დაბეგრილი არ არის ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან დაბეგრილია როგორც 150 მანეთამდე შემოსავლის მქონებელი, ვერ დაევალება 3 მანეთზე მეტი ანაბარის შეტანა; იმ მეურნეობას, რომელიც დაბეგრილია როგორც 150 მანეთიდინ 300 მანეთამდე შემოსავლის მქონებელი,— დაევალება ანაბარი არ უმეტეს 6 მანეთისა; იმ მეურნეობას, რომელიც დაბეგრილია როგორც 300 მან-დან 500 მანეთამდე შემოსავლის მქონებელი,— დაევალება ანაბარი არა უმეტეს 15 მანეთისა; იმ მეურნეობას, რომელიც დაბეგრილია როგორც 500 მან-დან 1.000 მან-დე შემოსავლის მქონებელი,— დაევალება ანაბარი არა უმეტეს 50 მანეთისა; იმ მეურნეობას, რომელიც დაბეგრილია როგორც 1.000 მანეთზე შეტი შემოსავლის მქონებელი,— დაევალება ანაბარი არა უმეტეს 300 მანეთისა.

ინდივიდუალური წესით დაბეგრილ მეურნეობათათვის სავალდებულო ანაბარების რაოდენობა უნდა აღმატებოდეს არა ნაკლებ, ვიდრე ერთი ორად იმ სავალდებულო ანაბარების თანხებს, რაც დაწესებულ იქნება შემოსავლის კვალობაზე არაინდივიდუალური წესით დაბეგრილ მეურნეობათათვის.

ულარიბესი საგლეხო მეურნეობანი განთავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში სავალდებულო ანაბარების შეტანისაგან.

7. კოლექტიური მეურნეობის წევრთათვის სავალდებულო ანაბარის რაოდენობა განისაზღვრება კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით.

იმ კოლექტიური მეურნეობის წევრთათვის, რომელშიაც საწარმოო საშუალებანი სრულიად არ არის განსაზღვადოებული, სავალდებულო ანაბარების რაოდენობა განისაზღვრება მათი როგორც არაგანსაზღვადოებული ქონების შემოსავლისა, ისე კოლექტიურ მეურნეობაში მონაწილეობით მიღებული შემოსავლის საერთო თანხის შესაბამისად, ამა დადგენილების მე-6 მუხლში განსაზღვრული ნორმების მიხედვით (მე-2 ნაწილი).

8. ის მეურნეობაში, რომელიც მოვალენი არიან შეიტანონ სავალდებულო ანაბარები, თავიანთ ხელში თანხებს შეიტანენ მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ დადგენილ ვადებზე, ხოლო ყოველ შემთხვევაში:

ა) ის მეურნეობა, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილია როგორც 300 მანეთამდე შემოსავლის მქონებელი და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობის წერი: $50^{\circ}/_{\text{o}}\text{-ს}$ არა უგვიანეს 15 დღისა მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ დადგენილების გამოტანის დღიდან, ხოლო დანარჩენ $50^{\circ}/_{\text{o}}\text{-ს}$ არა უგვიანეს ერთი თვეისა იმავე ვადიდან;

ბ) ის მეურნეობა, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილია როგორც 300 მან. მეტი შემოსავლის მქონებელი, ინდივიდუალური წესით დაბეგრილთა გარდა, სრულად 15 დღის განმავლობაში მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ დადგენილების გამოტანის დღიდან;

გ) ის მეურნეობა, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილია ინდივიდუალური წესით,—სრულად 10 დღის განმავლობაში მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ დადგენილების გამოტანის დღიდან.

9. სავალდებულო ანაბარზე გაცემა პროცენტი ისეთი რაოდენობით, რასაც დააწესებს სათანადო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანგობის წევრთა საერთო კრება, ხოლო ყოველ შემთხვევაში, ამა უმეტეს $6^{\circ}/_{\text{o}}\text{-სა წლიურად}$.

10. სავალდებულო ანაბარი არ უნდა დაებრუნოს მეანაბარეს მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ დაწესებულ ვადაზე აღრე. ეს ვადა არ შეიძლება იყოს ორ წელიწადზე ნაკლები და ხუთ წელიწადზე მეტი.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ვადები ამა თუ იმ სოფლის ან ერთი სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებული რამდენიმე სოფლის მეურნეობათა ცალკეული კატეგორიებისათვის დაწესდება თანაბრად.

11. სავალდებულო დასაბრუნებელი ანაბარების გადახდევინებისა, შენახვისა, ხარჯვისა და უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 5-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანგობებში შესატანი სავალდებულო ანაბარების შესახებ“ იმ პირობით, რომ სავალდებულო დასაბრუნებელი ანაბარების სახით შემოსული თანხები ინახება საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკებში და აქარისტანის ავტონომიური სსრ-ის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირში.

12. უკეთუ ანაბარი შეტანილ არ იქნა ამა დადგენილების მე-8 მუხლში აღნიშნულ ვადაზე, სათანადო სასოფლო საბჭოს განკარგულებით შესატანი თანხა გადახდება ანაბარ-ვალდებულ მეურნეობას „გადასახადთა გადახდევინების დებულებით“ გათვალისწინებული წესისამებრ.

მეურნეობის შეთაური, რომელიც უარს იტყვის ამა დადგენილებაში აღნიშნული ანაბარების შეტანაზე, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისმგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხ. თანახმად (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახლხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 30-ს დადგენილების რედაქციით—საქ. სსრ. კან. კრ. 1929 წ. 22 №-ით, მუხ. 265).

13. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკს უფლება აქვს გამოსცეს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქტურია სავალდებულო ანაბარებისაგან თანხების შედგენისა, შენახვისა და დახარჯვის წესის შესახებ.

14. დადგენილება ესე მოქმედობს მთლად საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, ავარიისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 16.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტ“-ის მე-40 წე-ში 1930 წ. თებერვლის 18.

სახალხო კომისართა საგარეო დადგენილებანი

53. დ ა დ გ ე ნ ი ლ ი ბ ა ს . კ . ს .

საქართველოს სსრ-ში თევზის მრეწველობისა და თევზის მოშენების სააქციო საზოგადოების („საქართველოს თევზის“) მომწყობი ბიუროსათვის იურიდიული პირის უფლებების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ღროვებით, ვიღირე საერთო-საქართველო კანონმდებლობის წესით დადგენილ იქნებოდეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სადარგო შენაერთოების საორგანიზაციო ფორმები, დაეკისროს თევზის მრეწველობის და თევზის მოშენების სააქციო საზოგადოების („საქართველოს თევზის“) მომწყობ ბიუროს შემდეგი ფუნქციების შესრულება:

- ა) საქართველოს სსრ-ში თევზის საჭერი ადგილების ექსპლოატაცია;
 ბ) ყოველგვარი თევზისა და თევზეული პროდუქტების დამზადება;
 გ) დაჭერილი თევზის პროდუქტების შენახვა, გადამუშავება და უტილიზაცია;
 დ) სახელმწიფო მაცივრების გამოყენება;
 ე) ყოველგვარი თევზეული პროდუქტების გაყიდვა.
2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად მიერთოს საორგანიზაციო ბიუროს იურიდიული პირის უფლებები, კერძოდ, უფლება — შეიძინოს ქონება, დასდევის ყოველგვარი ხელშეკრულება და გარიგება, მიიღოს კრედიტი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომპერატიული დაწესებულებისა და ორგანიზაციისაგან, იქსროს ვალდებულება თამასუქით, აწარმოოს სასაქონლო და სასესხო ოპერატორი მუშამოსამსახურენი და მიიღოს მიზნობრივ გამოსაყენებლად ყველა ფულადი თანხა, რაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით და საბანკო კრედიტით დანიშნულია თევზის მრეწველობისა და თევზის მოშენების საქმისათვის.
3. მიენიჭოს ზემოაღნიშნულ ბიუროს სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს ყველა უფლება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1930 წ. თებერვლის 11.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის მე-50 №-ში 1930 წ. მარტის 12.

54. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

ყრილობებისა და თათბირების მოწვევისათვის ნებართვის მიცემის
წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

I.

1. საქართველოს სსრ რესპუბლიკანურ სახელმწიფო დაწესებულებებსა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთ, აგრეთვე რესპუბლიკანური მიშვნელობის კომპერატიულ ცენტრებს და მსხვილ რესპუბლიკანურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყრილობებისა და თათბირების მოწვევა შეუძლიანთ მარტოდენ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ნებართვით, რომელიც ყრილობის თუ თათბირის მოწვევის საკითხს განიხილავს მიზანშეწონილობისა და სახსართა მამჭირნეობის თვილსაზრისით.

შენიშვნა. უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული დაწესებულება, საწარმო ან ორგანაზაცია განიზრახავს ყრილობის თუ თათბირის მოწვევას განსაზრისით.

კუთრებული საზოგადოებრივი ან სამეურნეო მნიშვნელობის მქონე საკითხების გამო,—საამისო ნებართვის გასცემს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სათანადო სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ს.ს.რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებული წარდგენით.

2. ნებართვის რესპუბლიკანური ყრილობისა თუ თათბირისათვის, რის მოწვევებასაც განიხრიახავს კომპერატიული ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავისი წესდების და დებულების თანამაღლი და აგრეთვე ის კომპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული არ არის,—გასცემს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

3. იმ ყრილობისა თუ თათბირისათვის, რომლის მოწვევებასაც განიხრიახავს საქართველოს სსრ ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულება და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმო, აგრეთვე პირველადი კომპერატიული და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ნებართვის გასცემს საოლქო (სამაზრო) ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი—კუთვნილებისამებრ.

II.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ამა დადგენილების შესაბამისად; ამასთანავე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი დადგენილება დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

III.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ნოემბრის 12-ს დადგენილება „უშესებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ ყრილობებისა, კონფერენციებისა და თათბირების მოწვევის წესის შესახებ“ (კან. კრ. 1926 წლის 6 №-რი, მუხ. 132) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლივილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1930 წ. თებერვლის 16.

ტფილისი-სასახლე.